შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 15.03.2024

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Microsoft Teams -ის გამოყენებით 2024 წლის 15 მარტს, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულების მე-10, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად.

სხდომას ესწრებოდნენ
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

- ეკა ლუაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე);
- შალვა კვინიხიძე (იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი);
- ავთანდილ გაგნიძე (ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი);
- ზურაბ ჯანხოთელი (ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტი);
- ანიშა შანკარ ჰინგანეს (ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი);
- მარინე ჩაგელიშვილი-ურუმაშვილი (განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი);
- ლელა გოგინავა (განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი);
- სალომე ზაალიშვილი (იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სუტდენტი)
- ანი კოსტავა (საბჭოს მდივანი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი).

კვორუმი შედგა. სხდომა გადაწყვეტილებისუნარიანია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვა;

საბჭოს წევრების მიერ მოწონებულ იქნა უნივერსიტეტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების და დამატებების შეტანის პროექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა უნივერსიტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებისთვის დადებითი რეკომენდაციისა და რექტორისთვის წარდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

განხილვის შედეგად საბჭომ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებებს და მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ რეკომენდაციის გაცემის თაობაზე და საკითხის უნივერსიტეტის რექტორისთვის წარდგენის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა.

წინამდებარე ოქმში მითითებული დანართები ინახება უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში.

საბჭოს თავმჯდომარე
ეკა ლუაშვილი

საბჭოს მდივანი
ანი კოსტავა